



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კვინიკაძე გიორგი ლევანის ძე

კვინიკაძე გიორგი ლევანის ძე (დ. 3. I. 1946, სოფ. წაღვლი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, - 25. IX. 2018, თბილისი), გენერალ-მაიორი (1996). 1965\_91 მსახურობდა სსრკ, ხოლო 1992-98 საქართვე. შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვის პუნქტის განყ-ბის უფროსი (1992-93). საქართვე. ჰაერსაწინალო თავდაცვის ჯარების უფროსი, სარდლის მოვალეობის შემსრულებელი (1993-95), სარდალი (1995-98). 1998-იდან დაითხოვეს სამხ. სამსახურიდან. 1998-2018 მუშაობდა საქართვე. სამოქალაქო ავიაციაში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1995).

**ლ. დოლიძე**

---